განკარგულება:**g-81. 8126147001**
თარიღი:**27/05/2026**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №18

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში რუსთაველის ქუჩა №64-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.25.297) პირველ სართულზე 1.00 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით - სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით - იჯარით, სს ,,საქართველოს ბანკისთვის" (ს/ნ 2043378869) ორი წლის ვადით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ. დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 36-ე მუხლისა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №0022675226 დასკვნის საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში რუსთაველის ქუჩა №64-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.25.297) პირველ სართულზე 1.00 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით - სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით - იჯარით, სს ,,საქართველოს ბანკისთვის" (ს/ნ 2043378869) ბანკომატის ფუნქციონირებისთვის 2 (ორი) წლის ვადით გადაცემაზე.

2. ერთი წლის საიჯარო ქირის საფასური განისაზღვროს - 3600 (სამიათას ექვსასი) ლარი, ერთი თვის საიჯარო ქირა - 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

3. ბანკომატის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით დაემატოს ყოველი თვის საიჯარო ქირას, რითაც ყოველთვიური საიჯარო ქირა განსაზღვრული იქნება - 350 ლარის ოდენობით.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქუჩა №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვასილ საღინაძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი